# მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(83) 2014 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 50 თეთრი


ინფორმაცია–2014

## სასოფლო-სამეურნეო ბარათის გამოყენების ვადა გაგრძელდა

**საგაზაფხულო** პროგრამა, რომელიც მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობისათვის საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე დაისახა, წარმატებით განხორციელდა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. მთავრობამ ის შედავათიც კი დაუშვა, ვინც გაზაფხულზე ვერ გამოიყენა სასოფლო-სამეურნეო ბარათი, 1 აგვისტომდე ექნებოდა მოქმედების ვადა, შემდეგ ამ ვადამ 1 სექტემბრამდე გადაიწია, ახლახანს კი საქართველოს მთავრობამ გამოიჩინა კეთილნება და მისი გამოყენების ვადა 1 დეკემბრამდე გააგრძელა. ამან რა თქმა უნდა ხელი შეუწყო იმ მიწების მოხვნის სამუშაოებს, რომლებიც სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო მცირემიწიანმა ფერმერმა ვერ მოახერხა.

– ქალაქ საგარეჯოში მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებლად მიმდინარე წლის გაზაფხულზე 1376 სასოფლო-სამეურნეო ბარათი გაიცა, – მითხრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტმა ვასიკო დარბაისელმა, – საგაზაფხულო ხვნის სეზონზე ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მცირე მიწიანი ფართობებიდან მთლიანობაში 330 ჰა მიწა მოიხნა. სასოფლო-სამეურნეო ბარათის გამოყენების ვადის გადაწევამ კი გამოიწვია ის, რომ 6 ნოემბრისთვის ქალაქში 19 ჰა ასეთი მიწის ფართობია მოხნული. ამინდების გაუარესების გამო, ჯერ-ჯერობით მოხვნას ელოდება და განაცხადია შემოსული კიდევ მთლიანობაში 10 ჰა-ს მოსახნავად. საგაზაფხულო ხვნის დაწყებიდან დღემდე რაიმე სირთულე და დაბრკოლება არავის შეხვედრია. როგორც მოგეხსენებათ, ხვნა-თესვის სამუშაოებს საგარეჯოში ასრულებს შპს „მექანიზატორი“ (დირექტორი გია მარხვაშვილი), რომლის მექანიზატორები მართლაც რომ მადალი პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთზე დაკისრებულ მოვალეობას. მათგან მინდა გამოვყო გიორგი მათიაშვილი, თედო სულიკაშვილი, შალვა ტიგინაშვილი, ზაზა ტეტიაშვილი, გურამ დარისპანაშვილი, ვახო ხითარიშვილი.

ხვნაში მონაწილეობა შეიძლება ერთ დღეს 5 მექანიზატორს მიეღო და 20-25 ჰა მიწის ფართობი მოეხნათ, რაც ხელს უწყობდა მცირემიწიან ფერმერთა აგროვადებში მიწის დამუშავებას. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მიწის ეს ფართობები ერთ „პატარ-პატარა რაიონებად“ გვქონდა დაყოფილი, რაც მართლაც გვიადვილებდა მუშაობას.

ჯერ-ჯერობით განაცხადი მიწის მოხვნაზე მხოლოდ 10 ჰა-ზე განთავსებული მიწის ფართობების მეპატრონეთაგან გვაქვს შემოსული, ვნახოთ, სასოფლო-სამეურნეო ბარათის მოქმედების ვადის გაგრძელებამ შეიძლება სხვებსაც გაუჩინოს სურვილი მცირემიწიანი ფართობის მოხვნისა.

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის 7 ნოემბრის მონაცემებით 2014 წლის შემოდგომაზე ეს სამუშაოები დაწყებული იყო მუნიციპალიტეტის 17 ტერიტორიული ორგანოს სავარგულებში. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით 3734 ჰა სახნავი ფართობიდან უკვე მოხნული იყო 2500 ჰა ფართობი, მათ შორის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ფარგლებში 405 ჰა, დანარჩენი 2005 ჰა პროგრამის გარეშე. ამავე პერიოდისათვის სულ მუნიციპალიტეტში საშემოდგომოდ დათესილი იყო 1910 ჰა-ზე ხორბალი და 100 ჰექტარზე საშემოდგომო ქერი.***

საშემოდგომო ხვნა-თესვის კომპანია მუნიციპალიტეტში კვლავ გრძელდება.

*გ. დაბახიშვილი*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

### 4 ნოემბერი, 2014 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის 4 ნოემბრის თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები სოფლებში, გამგეობის სამსახურების უფროსები, გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი ესწრებოდნენ. თათბირი მიჰყავდა ***მუნიციპალიტეტის გამგებელს* ბიორგი ბზირიშვილს.** თათბირზე მოწვეული იყო შპს „სოკარ-ჯორჯიას“ სერვის-ცენტრის მენეჯერი აკაკი შარაბიძე, რომელმაც გამგებლის წარმომადგენლების იმ შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც შპს „სოკარ-ჯორჯიას“ მიერ განხორციელებულ სოფლების გაზიფიცირების საკითხებს ეხებოდა. როგორც გაირკვა, ჩვენს მუნიციპალიტეტში არის სოფლები, სადაც სრულად არ მოხდა მოსახლეობის გაზიფიცირება, ამიტომ შპს „სოკარ ჯორჯიას“ გადაეცემა სოფლების: თოხლიაურის, კაკაბეთის, ხაშმის, პატარძეულის იმ მოსახლეთა სია, რომელთა გაზიფიცირება დღემდე არ მომხდარა. ამასთან, წამოიჭრა საკითხი, მთელი რიგი სოფლების გაზიფიცირების სამუშაოების შესრულებისას გზების, სასმელი წყლების მილების დაზიანების შესახებ, რომელთა მოწესრიგებაზე პასუხისმგებლობა შპს „სოკარ-ჯორჯიამ“ უნდა აიღოს.

თათბირზევე დაისვა საკითხი სოფლების შიბლიანის, უდაბნოს, კრასნაგორკის უახლოეს ხანებში გაზიფიცირების ვადების დადგენაზე. ამასთან, დღის წესრიგში დგება უჯარმის, კოჭბანის, გომბორის თემში შემავალი სოფლების გაზიფიცირების საკითხიც.

თათბირზე გამგებლის წარმომადგენელმა ბოგდანოვკაში მიხეილ ობოლაშვილმა სოფელში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდის აუცილებლობა დააყენა, რადგან წინაადმდეგ შემთხვევაში შემოდგომა-ზამთრის ნალექებმა შეიძლება სოფლის მოსახლეობის სახლების დატბორვა გამოიწვიოს, რისი „გამოცდილებაც“ მათ უკვე ჰქონდათ წლების განმავლობაში.

### 11 ნოემბერი, 2014 წელი

**საგარეჯოს** სამშაბათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* ბიორბი ბზირიშვილი** უძღვებოდა.

თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის სოფლებში გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეისათვის სოფლებშია. ძირითადად საკითხი შეეხო სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლის სრულად მოწოდებისათვის ცალკეული სოფლების უბნებში საუბნო ონკანების დამატების აუცილებლობას, ხევებისა და სანიაღვრე არხების ნაშალისაგან ტექნიკის ჩარევით გასუფთავების საჭიროებას.

თათბირზე დაისახა გეგმა 14 ნოემბერს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6 ათასი ძირი ნარგავის დარგვაში მოსახლეობის ჩართულობაზე, მასში ყველა ასაკის ადამიანის მონაწილეობაზე.

თათბირზე, ასევე, ისაუბრეს და იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და დასახეს გზები მთელი რიგი პრობლემების მოსაგვარებლად.

თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსებიც ესწრებოდნენ.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნერგების დარგვა დაიწყო

**სურათზე:** აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

## 31 ოქტომბერი, 2014 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 29 დეპუტატი ესწრებოდა. სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა კოალიციის შექმნის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მეზვრიშვილმა***. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნა ფრაქციათა კოალიცია, რომელშიც გაერთიანდნენ შემდეგი ფრაქციები: „ქართული ოცნება-კონსერვატორი“, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატები“, ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. რაც შეეხება ფრაქცია „რესპუბლიკელების“ კოალიციაში გაერთიანებას, როგორც ალ. მეზვრიშვილმა აღნიშნა, სატელეფონო საუბრისას ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ ბესიკ მარტიაშვილმა და ფრაქციის დანარჩენმა წევრებმა მზაობა გამოთქვეს კოალიციაში გაერთიანების, მაგრამ წერილობითი დადასტურება – ფრაქციის მიერ შესაბამისი ოქმის წარმოდგენა ჯერ-ჯერობით არ მომხდარა.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა თინათინ ბაბილაშვილმა.***

როგორც მან აღნიშნა, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში, ცვლილება შეეხო როგორც შემოსავლების ნაწილს, ისე ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს - ბიუჯეტის შემოსულობები შემცირდა 181263 ლარით და შეადგინა 12229729 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1728 განკარგულებით 324731 ლარით შემცირდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №3 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი დაფინანსება. რეგიონული პროექტების დაფინანსებას მოაკლდა ტენდერის მიმდინარეობის დროს ვაჭრობაში დაკლებული თანხები. ამის შედეგად კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგიონული პროექტების დაფინანსებამ შემდეგი სახე მიიღო:

1. სოფელ დიდ ჩაილურში სასმელი წყლის გამოსაყვანად ამჯერად პროექტს მოხმარდება 220711 ლარი, ნაცვლად 373212 ლარისა, აღნიშნული პროექტის დაფინანსებას გამოაკლდა 152501 ლარი;

2. სოფელ მანავში სასმელი წყლის გამოსაყვანად არსებული ჭაბურღილიდან და ასევე, დამატებითი ერთი ჭაბურღილის მოწყობას მოხმარდება 224850 ლარი, ნაცვლად 314968 ლარისა;

3. სოფლების ლამბალო-თულარის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ამჯერად 168308 ლარის ნაცვლად 136999 ლარი მოხმარდება;

4. სოფელ ვერხვიანის ცენტრალური გზის აღდგენით სამუშაოებს, ნაცვლად 662439 ლარისა, 52000 ლარი;

5. სოფელ გომბორში ხევის უბანში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობას, ნაცვლად 198550 ლარისა – 162999 ლარი;

6. პატარძეულის სათავე-ნაგებობის გაბიონის და შიდა ქსელების მოწესრიგებას (ჭაბურღილების აღდგენა-მოწყობა) ნაცვლად 187190 ლარისა, მოხმარდება 145100 ლარი;

7. სოფელ თოხლიაურის სათავე-ნაგებობის გაბიონის მოწყობას, ნაცვლად 83272 ლარისა, 56000 ლარი;

8. სოფელ ნინოწმინდაში 400მ³ მოცულობის რეზერვუარისა და 1,5 კმ-იანი შიდა ქსელების შეცვლას ნაცვლად 15530 ლარისა 11997 ლარი.

9. სოფელ უდაბნოში სკოლამდელი დაწესებულების შენობის აშენებას ნაცვლად 305062 ლარისა 240757 ლარი;

სულ მთლიანობაში აღნიშნული პროექტების განხორციელებას მოაკლდა 324731 ლარი. პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი იყო 2364200 ლარი, საიდანაც მხოლოდ 2039469 ლარიღა მოხმარდება.

მუნიციპალიტეტში ჯარიმები, სანქციები და საურავები გაიზარდა 116229 ლარით. დაგეგმილი 469892 ლარის ნაცვლად.

არაფინანსური აქტივების კლება კი გაიზარდა 27239 ლარით. კერძოდ, გაიზარდა ძირითადი აქტივები, რაც 183200 ლარით იყო დაგეგმილი.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებს, შემცირდა 181263 ლარით და შეადგინა 12 502 193 ლარი.

ბიუჯეტში განხორციელებულმა ცვლილებებმა კი შემდეგი სახე მიიღო:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება გაიზარდა 86909 ლარით. მათ შორის:

წარმომადგენლობითი ორგანოს შრომის ანაზღაურება გაიზარდა 47309 ლარით. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3334 ლარით, მივლინების ხარჯები – 500 ლარით, ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხარჯები – 5000 ლარით. სხვა დანარჩენი მომსახურება – 58676 ლარით (საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით).

აღმასრულებელი ორგანოს შრომის ანაზღაურება შემცირდა 18970 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზრდა 17495 ლარით.

სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის შრომის ანაზღაურება შემცირდა 4291 ლარით. ასევე, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შრომის ანაზღაურება შემცირდა 341 ლარით. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდა 341 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1728 განკარგულებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის ხარჯი შემცირდა 209299 ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებიდან სხვა დანარჩენი საქონლის მომსახურების ხარჯები შემცირდა 5845 ლარით. არაფინანსური აქტივები – 45282 ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არაფინანსური აქტივები – 65305 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, საიდანაც დუზაგრამაში აუთვისებელი თანხა 11029 ლარი საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით გადატანილი იქნა სანიაღვრე არხების გაწმენდის სამუშაოებზე (აუთვისებელი თანხების დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობიდან შემცირებული 7251 ლარი და სარიტუალო დარბაზის შენობისთვის 3778 ლარი).

როგორც მომხსენებელმა თინათინ ბაბილაშვილმა აღნიშნა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაიზარდა 50084 ლარით. მათ შორის 41306 ლარით გაიზარდა სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსება, 2500 ლარია გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საახალწლო ამანათების შესაძენად.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 547058 ლარი. 1. ეკონომიურად და სოციალურად დაუცველი გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად ერთჯერად დახმარებაზე სულ 91688 ლარი გამოიყო, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

---

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

### ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი სოფელში

# „სოფელი ღონიერია“...

**გასული** საუკუნის 70-80-იანი წლების პრესაში ხშირად შეხვდებოდით რუბრიკას „სოფელი ღონიერია“..., რომელიც მოგვითხრობდა ადამიანებზე, სოფელზე მზრუნველსა და გულშემატკივრებზე, იმ გონიერ, სადად მოაზროვნე და მოხერხებულ პიროვნებებზე, რომლებსაც შეეძლოთ სოფლისთვის სასიკეთო საქმეების გაკეთება ისე, რომ თავადაც მიეღო აქტიური მონაწილეობა და თავის გვერდში მყოფ სამეზობლოსა თუ თანასოფლელებში გაეღვიძებინა ის პასუხისმგებლობა და მზრუნველობა, რაც სოფლის თითოეულ მოსახლეს,მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სოფლის მიმართ. 90-იან წლებში მოხდა ღირებულების, ფასეულობათა გადაფასებაო, ვამბობთ. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, ბევრი ღირებული და ფასეული გადავაყოლეთ ჩვენს ამბიციებს, ჩვენს გაუთვითცნობიერებელ სწრაფვას უცხო კულტურისაკენ, უცხო აზროვნებისკენ. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენი ადამიანი დგას ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და უდარდელი მზერით უყურებს წვიმისაგან წარმოქმნილი ნიაღვრისგან მოტანილი პლასტმასის ბოთლებით გადაჭედილ სანიაღვრე არხებში ე.წ. გადასასვლელებთან („ბოგირი“) გადმოსულ ნიაღვრებს, ახლადდაგებულ ასფალტს დაზიანებას რომ უქადის. გინახავთ ალბათ, რა გულგრილი მზერით იყურებიან და ილოდებიან, იქნებ სოფლის რწმუნებული, ამჯერად მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი მოვიდეს და თუ თავად არ დაიკაპიწებს ხელებს, იქნებ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები მოიყვანოს და რა მისი საქმეა ხელი შეაშველოს სოფლის იერ-სახის გალამაზებას?! იზრუნოს მთავრობამ, ხელისუფლებამ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, წარმომადგენლებმა... აღარც ის ახსოვთ, 20-25 წლის წინ თავად მოსახლეობა როგორ აწესრიგებდა სასოფლო საქმეებს, სამსახურში, სამუშაო უბნებზე მყოფნი თუ ვენახებიდან დაბრუნებულები. ასე მწვავედ არ იდგა სოფლების მოსახლეობის წინაშე სასმელი წყლის პრობლემა, არც სანიაღვრე არხები იყო ასე წყალგაუმტარი, არც ასე უდიერად ექცეოდნენ გზებს.

დიახ, დღეს ყველა მივეჩვიეთ – „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, რეგიონული განვითარების ფონდი ხომ სოფლებში იმ პრობლემების მოგვარებას გვპირდება, ასე რომ აწუხებს თითოეულ ოჯახს... ისე მივეჩვიეთ სხვისი ხელით გაკეთებულ სასოფლო საქმეებს, რომ თითსაც არ ვატოკებთ პატარა, სულ მცირე ხარვეზის გამოსასწორებლად. თუმცა, თუ გულშემატკივარი, გულმართალი ადამიანი გამოჩნდა და სახალხო საქმეს ხელი უშურველად, ყოველგვარი დაინტერესების გარეშე მოჰკიდა, აღმოჩნდება, რომ ჯერჯერობით ყველას არ გასციებია გული საერთო საქმეზე, რომელიც შემდეგ თითოეულ ოჯახს სიკეთედ წაადგება... დიახ, მთავარია გამოჩნდეს ერთი – ავტორიტეტული, საქმიანი, ჩუმი ადამიანი და საქმე ადგილიდან იძვრება... ზოგჯერ ხომ ფინანსების გარეშეც შეიძლება პრობლემის მოგვარება, სასიკეთო საქმის გაკეთება?! ამის ნათელი დასტურია ნინოწმინდაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს ჯერ მოწესრიგება, შემდეგ კი კეთილმოწყობა (აღნიშნულ საქმიანობაზე საუბარი გვქონდა ჩვენი გაზეთის ა.წ. №18-ში), რომელშიც ნინოწმინდელი მანდილოსნები უსასყიდლოდ, საკუთარი ნებით იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის ერთ-ერთი აქტიური რიგითი მონაწილე იყო (და დღესაც აგრძელებენ ამ საქმიანობას) მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ნინოწმინდაში **თამარ გარსევანიძე,** რომელიც მიმდინარე

წლის აგვისტოში დაინიშნა ამ ადგილზე. მანამდე 2012 წლიდან იყო ამავე სოფლის რწმუნებულის თანაშემწე. ასე, რომ თამარისთვის არც ერთი პრობლემა არ არის უცხო. კარგად იცის ნინოწმინდის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. მათი უპირველესი, წლობით მოუგვარებელი პრობლემა სასმელი წყალია, რომელსაც წლების განმავლობაში „სოფლის პროგრამით“ განხორციელებულმა ათობით ათასობით ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებამაც ვერ უშველა.ხან ჭაბურღილიდან მიღებული წყალი არ აღმოჩნდა კვების პროდუქტად გამოსადეგი, ხან წყლის დებეტი არ აღმოჩნდა საკმარისი, ან ჭაბურღილის ძრავი გამოვიდა მწყობრიდან, მავანს სახლი დაუზიანდა, სახურავი ჩამოეშალა, ვის სოციალური დახმარება მოუხსნეს, ვის ერთჯერადი დახმარება უნდა...

**მანავში** ***(გამგებლის წარმომადგენელი დიმიტრი საბაშვილი)*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის ავარიულობის გამო გადატანილ იქნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №2-ში, რომელიც ე.წ. ბურდიანის დასახლებაში მდებარეობს. აღნიშნულ დაწესებულებაში არ იყო სასმელი წყალი, არ ჰქონდათ ელექტროენერგია... მაგრამ... ეს მანამ, სანამ დიმიტრი საბაშვილი მოვიდოდა თავის სამუშაო უბანზე. 17 სექტემბერს დაიწყო დიმიტრის სამუშაო დღე, მაგრამ, მანამდეც... თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

თავად დიმიტრის უჭირს საუბარი იმ საკითხებზე, რაც მან ამ თანამდებობაზე მოსვლის დღიდან გააკეთა, მაგრამ, დღეს მისი საქმიანობა „ანგარიშს აბარებს“ ორ

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

## 31 ოქტომბერი, 2014 წელი

**გაგრძელება**

დაფინანსება ღირებულების 50%-ით 500 ლარით განისაზღვრა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის – 12150 ლარი (50-50 ლარი). უდედმამო ბავშვებზე 3000 ლარი (50-50 ლარი), უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი (300 ლარი) – 3600 ლარი. დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯები – 1500 ლარი (300 ლარი). სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარებისათვის 2300 ლარი (100-100 ლარი), სამამულო ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი – 5700 ლარი (250 ლარი). აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის “ დაფინანსება 169514 ლარი. ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისის – 10000 ლარი; 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისათვის გათვალისწინებული საჩუქრებისათვის – 900 ლარი (150-150 ლარი); დიალეზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვისთვის – 3000 ლარი (100-100 ლარი).

ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 17 მარტის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის იურისტმა*** **კახაბერ ხვთისავრიშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებას დაემატა 4' მუხლი შემდეგი რედაქციით: 1. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს განთავისუფლდნენ მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდის ვალდებულებებისაგან. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით პირველ პუნქტში მითითებული სუბიექტების მიერ და აღნიშნული შეღავათი 2016 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს.

თუმცა ამ შემთხვევაში სჯობია გაზეთის მკითხველს შევთავაზოთ კახაბერ ხვთისავრიშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი:

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროგრამის (EIB-WIMP) ფარგლებში საქართველოს რეგიონებში, 28 მუნიციპალიტეტში ხორციელდება წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით ნებართვის გაცემის პროცედურები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარდგენილ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც, მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, გამგეობაში დაწყებულია მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.

აღნიშნული დადგენილების 53-ე მუხლის შესაბამისად საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს სამშენებლო ნებართვისთვის მოსაკრებელი.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ თანახმად, მშენებლობის ნებართვის დადგენილი მოსაკრებელი განეკუთვნება ადგილობრივი მოსაკრებლის კატეგორიას, ხოლო ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გაუქმებისა და მასზე შეღავათების დაწესების უფლებამოსილებას აღნიშნული კანონის მე-3 მუხლი ანიჭებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს. და აქვე, მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და ვრცელდება ყველა იქ მცხოვრებ ფიზიკურ და განლაგებულ იურიდიულ პირზე. ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, უფლებამოსილ მუნიციპალურ ორგანოს შეუძლია ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირს დაუწესოს ნაწილობრივი შეღავათი ან სრულად გაუუქმოს მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებულია კანონის მე-4 მუხლიც, რომლის თანახმადაც ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდაზე საკრებულოს მიერ შეღავათების დადგენა (გადახდისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლება) დაიშვება გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით. დაუშვებელია ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდაზე ინდივიდუალური სახის შეღავათების დადგენა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნებართვის მაძიებელს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ადგილობრივი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების გაუმჯობესებას.

წყალმომარაგების სექტორში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სანებართვო მოსაკრებლისაგან გათავისუფლების საკითხის განხილვის შუამდგომლობით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმართა მათ შორის საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ზურაბ ქურთიშვილმა, გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ სრულიად შეუძლებელია ზემოთწარმოდგენილი საკითხის შესახებ იმ დადგენილების გამოტანა, რომელიც აღნიშნული კომპანიის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გაათავისუფლებს მშენებლობის ნებართვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან, რადგან თანხა მნიშვნელოვნად დიდია და ამავდროულად, რაიონის ბიუჯეტში წლის ბოლოსთვის დღეის მდგომარეობით დეფიციტი შეიქმნება.

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ და მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომლის მიხედვითაც „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 17 მარტის №6 დადგენილებაში შეეიდა ცვლილება და დადგენილების №1 დანართს დაემატა 4[1] მუხლი. ამ მუხლის მიხედვით სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, გათავისუფლდებიან მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან. აღნიშნული შეღავათი გავრცელდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესების სამუშაოებს ჩაატარებს და ეს შეღავათი იმოქმედებს მხოლოდ 2016 წლის 1 იანვრამდე.

საკრებულოს წევრებს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ“ საკითხი გააცნო დეპუტატმა, ***საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ*** **ალ. მეზვრიშვილმა.**

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ“ – მოხსენება გააკეთა **კახაბერ ხვთისავრიშვილმა.** როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 დეკემბრის №576 დადგენილების საფუძველზე.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა*** **მარინა თედიაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ცხრა თვის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებით, 2014 წლის 9 თვეში ცვლილება განიცადა 9-ჯერ, ამ ხნის განმავლობაში ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 7044900 ლარიდან 12683500 ლარამდე, ანუ 5638600 ლარით გაიზარდა. კონკრეტულად, მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 1834800 ლარით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 4199000 ლარით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით 1014800 ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ცხრა თვის შემოსავლები 2014 წლის ცხრა თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 97%-ით, 2014 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმიური 7936300 ლარის ნაცვლად შემოსავლებმა შეადგინა 7729800 ლარი, მათგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 68%-ით (გეგმიური 800000 ლარის ნაცვლად, 543800 ლარი); ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი – 5.6%-ით (გეგმა 25 ათასი ლარი, შესრულება 1400 ლარი); არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 29% (გეგმა 50 ათასი ლარი, შესრულება 14400 ლარი).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ცხრა თვის გადასახდელების გეგმა შესრულდა 99%-ით (გეგმა 7937600 ლარი, შესრულება – 7917100 ლარი).

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების აღრიცხვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ*** **ბოჩა ჩერქეზიშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) აღრიცხვის მიზნით საჭირო შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შეევლენ: გოჩა ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე მეზვრიშვილი, ელდარ მეფარიძე, მეელუდ დუჩიძე, ნიკოლოზ ვაჭრიშვილი. ამასთან, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად საჭირო იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტის – გია ბუჩაშვილისა და ამავე გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტის სივრცითი მოწყობის საკითხებში – რომან სურმანიძის მოწვევა. აღნიშნულმა ჯგუფმა 2015 წლის 1 თებერვლამდე უნდა მოახდინოს 2014 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

---

**ჩვენს მუნიციპალიტეტში**

# ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი სოფელში „სოფელი ღონიერია“...

**გაგრძელება**

თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

დიახ, სასმელი წყალი დღეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობაშიცაა და ეზოშიც შეეკვანილი. თავად დიმიტრიმ ამ საქმეში დახმარება ინდმეწარმე „თამაზ ქვლივიძეს“ სთხოვა, რომელიც მანავში „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტის განსახორციელებელ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს. თამაზიმ კეთილი ნებით სულ 12 მეტრი სიგრძის წყლის მილი მიაშველა „საქმეზე მოწადინებულებს“. მიწის სამუშაოები დიმიტრისთან ერთად იმ მანაველებმა შეასრულეს, რომელთა შვილებიც ამ დაწესებულებაში სწავლობენ, ან, როგორც მანაველებმა, უბრალოდ მონაწილეობა მიიღეს. ასევე შეიყვანეს ელექტროგადამცემი ხაზი, დადგეს შეშის გამათბობელი... დიმიტრის თხოვნაზე არც იმ ადამიანებს უთქვამთ უარი, რომელთაც შეძლეს და აღნიშნულ დაწესებულებამდე მოხრეშეს, დატკეპნეს და ინერტული მასალის მეორე პირს კიდევ დაატკეპნიან გზას, რომლის გავლა ფეხით მოსიარულესაც უჭირდა და მანქანასაც.

– მანავში, ე.წ. „გორხანის უბანში“ სასმელი წყალი დიდი ხნით ვერ მიეწოდებოდა მოსახლეობას. აგვისტო-სექტემბერში აქ სასმელი წყალი ცისტერნებით მიეწოდებოდათ მათ, – მეუბნება დიმიტრი, – მანაველ გურამ უცუნაშვილს ჰყავს საკუთარი ტრაქტორი. გურამი გვერდში დაუდგა თავის უბნელებს ამ გასაჭირში. წავედით და იმ წყლის სათავე ნაგებობიდან, 300 მეტრით ზევით ტრაქტორით გაიჭრა მიწა, აქ ზედაპირული წყალი იყო, რომელიც წყლის შემკრებს გვერდს უვლიდა და სადღაც უსარგებლოდ იკარგებოდა... სამ დღეში სასმელი წყალი იმ წყალშემკრებში „ჩადგა“, რომელიც მანამდე ვერ ივსებოდა. ამ სამუშაოებში ფიზიკურად წყლის მარეგულირებელ ნიკო ფეიქრიშვილთან ერთად გორხანის უბნის მცხოვრებლებიც იღებდნენ მონაწილეობას და ე.წ. კორპუსების მცხოვრებლებიც. მათმა შრომამ ნაყოფიც გამოიღო – დღეს გორხანის დასახლებას სასმელი წყალი აქვს.

მანავის ე.წ. „ბურდიანის დასახლების“ უბნიდან ბურდიანამდე გზის ერთი მონაკვეთი, რომელიც ტყესთან აკავშირებს მანაველებს, დაზიანებული იყო და დახრილი იმდენად, რომ აქ მანქანაც გადავარდა. მანაველების ფიზიკური შრომით და ტრაქტორის ჩარევით, მოხერხდა და ამ გზას ნორმალური სახე მიეცა.

ისევე, როგორც ყველა სოფელში, ჩვენი თემის სოფლებშიც სასმელი წყლის პრობლემა პრობლემად რჩება დღესდღეობით. ბუნებრივი აირის სოფლის უბნებში შეყვანამ ადგილ-ადგილ არა მარტო გზების დაზიანება გამოიწვია, დაზიანდა წყალგაყვანილობაც. მათ მართალია, ნაუცბათევად ვითომ შეაკეთეს გზებიც და წყლის დაზიანებული მილებიც, მაგრამ მიწის სამუშაოების შესრულებისას ტრაქტორის მიერ დაზიანებული პლასტმასის წყლის მილები ისე „იჭეჭყება“, რომლის გასწორებაც შეუძლებელია. სწორედ ასე მოხდა ე.წ. „ტურის უბანშიც“. აქ ვითომ, მაგრამ ზერელედ გაკეთდა დაზიანებული სასმელი წყლის პლასტმასის მილი და ერთ ადგილზე მაინც დარჩა გამოუსწორებელი, რაც აბრკოლებს წყლის გამტარობას, მოედინება ძალიან ცოტა და რიგებში დიდხანს უხდებათ აქაურებს დგომა. არ არის ცოტა, როცა 300 ოჯახი წყლის გარეშეა დარჩენილი. ეს წყალი აქ „ქალის ციხიდან“ პრიმიტიული წესით 40მმ-იანი მილით არის ჩამოყვანილი ისედაც. ის ჩამოდის „პანსიონატიდან“, შემდეგ მანავის ციხის წინა მხარეს და ასე თუ ისე ამარაგებდა მოსახლეობას. აღნიშნული ქუჩისა და წყლის მილების დაზიანების გამოსასწორებლად შევხვდი „სოკარჯორჯიას“ წარმომადგენელს, მაგრამ მან უბრალოდ „ამიხსნა“, რომ დაზიანებისას მალევე აკეთებენ და ამ დაზიანების გამოსწორება მათ აღარ „ეხებათ“! არადა, გზის გარკვეულმა მონაკვეთმაც დაიწია ზედაპირიდან მნიშვნელოვნად დაბლა, წყლის მილიც მათი მიზეზით დაზიანდა!..

მანავში რესპუბლიკური მაგისტრალის მარჯვენა მხარეს (სოფლის ცენტრში), ჩამავალი ხევი ისე გადაივსო ჩამოტანილი ნაშალითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, რომ ამას წინათ მოსული წვიმისაგან წარმოქმნილ ნიაღვრებს ვეღარ გაუძლო

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

## 31 ოქტომბერი, 2014 წელი

**დასასრული**

და შედეგები საკრებულოს სწორედ ამ ვადაში უნდა წარმოუდგინოს.

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ* ფრიდონ ბურდულმა.** როგორც ბ-ნმა ფრიდონმა აღნიშნა, საკრებულოს კომისიისა და ფრაქციათა თავმჯდომარეებმა, ასევე საკრებულოს თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ, ფიზიკური და კერძო იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარემ პირადი ინიციატივით მათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გამოაკლეს თითქმის ხარჯების 1/3. კონკრეტულად კი მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთა უფლებამოსილების განხორციელების ხელშესაწყობად (სულ 620 ლიტრი საწვავი).

საკითხის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №61 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს თავმჯდომარემ* ფრიდონ ბურდულმა**. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ კომისიაში საჭირო გახდა სახელმწიფო ქონების კახეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტის ფარნაოზ ბერიშვილის შეყვანა.

***საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის* ელდარ მეფარიძის** მოხსენება შეეხო საკითხს „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზღვრებში ე.გ.ხ. „კაკაბეთის“ 4 მონაკვეთზე და ე.გ.ხ. „კოშკი-1-2“-ის 1 მონაკვეთზე დაცვის ზონაში არსებული ხე-მცენარეების მოჭრა-გაკაფვის სამუშაოების შესრულებაზე თანხმობის მიცემას“.

ასევე, ***საკრებულოს სოციალური, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის* მევლუდ დუჩიძის** მოხსენება შეეხო „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №65 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას“. კონკრეტულად, აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს წევრის კახა ადუაშვილის წევრად შეყვანას.

საკრებულოს სხდომაზე სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს სხვადასხვა საკითხები, რომლებიც ეხებოდა მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინებისათვის ნუმერაციის მინიჭების (მომხსენებელი ელდარ მეფარიძე), სხვადასხვა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას (მომხსენებელი: მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნიკოლოზ ბუზარიაშვილი).

სხდომის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები, მოახდინეს მათი განხილვა-გაანალიზება და თითოეულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

სხდომის დამთავრების შემდეგ სიტყვა ითხოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეჯოს ორგანიზაციის თავმჯდომარემ გარსევან ბუხნიკაშვილმა, რომელმაც თქვა:

– როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებას აძლევს დააწესოს ადგილობრივი მოსაკრებლები სხვადასხვა საქმიანობაზე. ადგილობრივი მოსაკრებელი კი, მოგეხსენებათ, არის „აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების, თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.“ ამასთან, შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კანონი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არის მიღებული 2007 წლის 17 მარტს (№6 დადგენილებით). დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მოქმედმა საკრებულომ ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით შეიტანა ცვლილებები. კონკრეტულად, კანონის მე-4 მუხლის მიხედვით შეღავათების დადგენას – მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის სრულად განთავისუფლებისათვის. კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი ეს შეღავათი (განთავისუფლება ამ შემთხვევაში) დაიშვება გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ თუ საკრებულოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება (და რაც დღეს უკვე მიღებულია), გადამხდელთა ამა თუ იმ კატეგორიის განთავისუფლება, მაშინ ამ კატეგორიის ყველა გადამხდელი უნდა გათავისუფლდეს ნებართვის გადასახადიდან, მიუხედავად იმისა, თუ აღნიშნული გადამხდელი ვის მიერაა დაფუძნებული, ანუ თუ ამ შემთხვევაში საკრებულო ათავისუფლებს ამ მოსაკრებლისაგან შპს-ებს, მაშინ უნდა გათავისუფლდეს ყველა შპს და არა მხოლოდ ის შპს-ები, რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ 100%-იანი მონაწილეობით. დღევანდელმა საკრებულომ კი მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აღნიშნული მუხლის დარღვევით მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლისაგან გაათავისუფლა მხოლოდ ის შპს-ები, რომლებიც სახელმწიფოს მიერაა დაფუძნებული. ეს არის ზოგადი პრინციპი, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ კონკრეტულ მოსაკრებელს განსაზღვრავს აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი, რომელიც კონკრეტულად აზუსტებს თუ ვინ შეიძლება გათავისუფლდეს ან შეღავათი დაუწესდეს. დავკონკრეტდები და შეგახსენებთ, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: „საკრებულოს გადაწყვეტილებით მოსაკრებლის გადახდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ან შეღავათი დაუწესდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობას“. (საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი). ამასთან, შეგახსენებთ, რომ ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალ ასაშენებელი ობიექტებით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთ ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის 5 ლარს“.

ჩემთვის, როგორც საგარეჯოს ერთ-ერთი მოქალაქისათვის არ არის ინტერესმოკლებული საკითხი – გავეცნო შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საგარეჯოს სერვის ცენტრის მიერ ადგილობრივი წყალმომარაგების ინფრასტრქტურის გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს. კარგი იქნება თუ მოსახლეობას გააცნობთ ამ პროექტს და პროექტის განხილვისას თუ მოიწვევთ სპეციალისტებს. არ მინდა პროექტი არ იყოს ყველანაირად განხილული, დახვეწილი, რომ შედეგი – სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება ვერ მივიღოთ. ეს ჩემი მეგობრული, თქვენი თანამოქალაქის რჩევაა.

---

**ჩვენს მუნიციპალიტეტში**

**დასასრული**

# ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი სოფელში

# „სოფელი ღონიერია“...

და კალაპოტიდან გადმოვიდა და თან გადმოაყოლა პლასტმასის ბოთლები, ცელოფნის პარკები... აქ კორპუსებია, რომელთა მცხოვრებლებიც მართლაც რომ შეწუხებულები არიან აქ დაგროვილი ნაგვით. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან ამ ცოტა ხნის წინ გავწმინდეთ სოფლის შემოგარენი, ქუჩები, არც ახლა ამბობენ აქაურები უარს და ერთობლივად, გურამ უცუნაშვლის კუთვნილი ტექნიკის დახმარებით შევძლებთ ამ არხის ამოწმენდას.

მანავის მოსახლეობა ყოველთვის მზად არის – გამოვიდეს, ფიზიკურად მიიღოს მონაწილეობა სოფლის სასიკეთო საქმეებში. მე პირადად ძალიან მადლობელი ვარ ყველასი. ისინი მართლაც რომ სოფლის გულშემატკივრები არიან და კვლავაც გააკეთებენ იმას, რაც სოფელს წაადგება.

მალე შპს „კანარგო-ჯორჯია“ მანავიდან ბურდიანამდე მძიმე ტექნიკის დახმარებით გააკეთებს კაპიტალურ გზას, რომელიც მოასფალტებული იქნება, მაგრამ არის ადგილები, სადაც მხოლოდ მოხრეშვას მოითხოვს. ამასთან, მათ მზადყოფნა გამოთქვეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის კარგად გაკეთებისათვის, ვნახოთ...

მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად **დუზაგრამის** თემში **მუხტარ ისმაილოვი** ამა წლის აგვისტოში დაინიშნა. თუმცა 2007-2012 წლებში ის აქ რწმუნებულად მუშაობდა. ამდენად, მისთვის თემის თითოეული სოფლის – წიწმატიანის, პალდოს, და თავად დუზაგრამის მოსახლეობის პრობლემა თავიდანვე შესწავლილი აქვს. მან კარგად იცის, რა თანხა დაჯდა სოფლის გზის გაკეთება, ან რა „ფასი“ აღევს დღეს სასმელ წყალს ოჯახების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ამდენად, პირველივე დღეებიდანვე დაიწყო ორივე ღირებულის მოფრთხილება. საკუთარი შესაძლებლობებით შეიძინა ის 27 ჩამკეტი ონკანი, რომელიც შემდეგ საუბნო ონკანებს მოარგო – სასმელი წყალი უმიზნოდ იღვრებოდა და ისეთ გზას აზიანებდა, რომლის გაკეთება ათეული წლების შემდეგ თუ მოხერხდებოდაო – მითხრა მუხტარმა, – ჩვენთვის, ჩვენი მოსახლეობისათვის პრობლემა არ არის სასმელი წყალი, რომელიც „სოკარ-ჯორჯიას“ მიერ გამოყვანილი მაგისტრალით მოგვეწოდება, მაგრამ გვალვიანმა ზაფხულმა მოითხოვა ჩვენი მიწების მორწყვა, ისე მოსავალს ვერ მიიღებდნენ. მოსახლეობამ დააყენა საკითხი – უნდა გაწმენდილიყო სარწყავი არხი, რომ შიგ სარწყავ წყალს გაევლო. დრო არ ითმენს, რაიონს არ გაეჩნია ბიუჯეტში თანხები, არც „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტში იყო ეს გათვალისწინებული, ამიტომ საჭირო გახდა მოსახლეობის მიერ დაყენებული ამ პრობლემის მოგვარება, თანაც ახლადდანიშნული ხარ, ხალხი, მოსახლეობა პირველ სამუშაო დღის დაწყებისთანავე ითხოვს შენგან პრობლემის მოგვარებას. ამიტომ, 2კმ სიგრძის სარწყავი არხის ორი ტრაქტორით გაწმენდა-გასუფთავება მოგვიწია, რომელშიც საკუთარი შრომა ჩავდეთ. დარჩა გასაწმენდი 1200 მეტრი, რომლის გაწმენდასაც კიდევ გვპირდებიან ჩვენი თემის გულშემატკივრები. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმ სარწყავი წყლის გამშვებებისა და მილების გაწმენდას ითხოვს, რომლებიც ორ ათეულ წელზე მეტია მიწით ამოივსო. ვნახოთ, ეს ძალიან დიდ შრომას და ხარჯებს მოითხოვს.

დუზაგრამაში შენდებოდა შენობა მეჩეთად, მაგრამ ბოლო დროს მოსახლეობამ იგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის მოიფიქრა. აქ ჩატარდა რემონტი, ამზადებენ აღსაზრდელების მისაღებად, ალბათ შემოვიტანთ საჭირო ინვენტარს, ნივთებს...

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ადმინისტრაციულ შენობას, ის ისეა ამორტიზებული, დაშლილ-დანაწევრებული, რომ იქ მუშაობა შეუძლებელი ხდება, ამიტომ იძულებული ვარ ქუჩაში მივიღო მოსული მოქალაქე, ან ავტომანქანაში დაველოდო ჩემთან მომსვლელს. აი, თანაშემწეს კი სად წავიყვან და სად „დავსვამ“, არ ვიცი...

მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ***ლამბალოს*** თემში **მახმუდ ალიევი** ამა წლის სექტემბრიდანაა დანიშნული:

– ჩვენი სოფლების მოსახლეობა რაოდენობით ორჯერ აღემატება სხვა სოფლების მოსახლეობას. აქ სასმელი წყალიც და სარწყავიც რომ იტყვიან სხვა სოფლებზე „გამოვლით“ ძლივს, ან საერთოდ ვერ აღწევს . ჩვენს მოსახლეობას სასმელი წყლის ისეთი გამოუსწორებელი პრობლემა აქვს, რაც აიძულებს 1, 5 კმ-იდან მოიტანოს იგი. აღნიშნული მანძილის გავლას ჩვენი სოფლის ქალები არაფრად მიიჩნევენ, მაგრამ წყალი ისეთი მარილიანია (ჭაბურღილიდან მოგვაქვს), რომ ტანსაცმელსაც ვეღარ აცლიან მარილს და წარმოიდგინეთ, ის ჩვენს ჯანმრთელობას რას უზამს?! არადა, გასულ წელსაც და ამ წელსაც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სასაფლაოს შემოსაღობად და კეთილმოსაწყობად (მგზავრთა მოსაცდელისათვის) 56000 და 40000 ლარი იყო გამოყოფილი. რა დროს სასაფლაოს კეთილმოწყობაა, როცა აქაურ მოსახლეობას სასმელი წყალი 1,5 კმ-დან მოაქვს ზურგით?! ერთმა პიროვნებამ ჩვენს სოფელში თითო კომლიდან 600-700 ლარი შეაგროვა – შეპირდათ, რომ თითოეულ ოჯახს ეზოში შეუყვანდა წყალს, მაგრამ ის 30 ათასი ლარი ჩაიდო ჯიბეში და წავიდა.

ჩვენი სოფლის ასფალტიანი გზების ნაწილი დაზიანებულია, რის გამოც მოგვიწია (გარკვეული რაოდენობის ნაწილი გამგეობამ გამოგვიყო) ინერტული მასალით მოხრეშვა და მას 1 ტონა ცემენტიც „მივახარჯეთ“. ამ სამუშაოებში, ხრეშის მოზიდვასა და დანარჩენი სამუშაოების შესრულებაშიც აქტიურად დამეხმარნენ ჩემი სოფლის მოსახლეობა, რომლებიც კიდევაც დიდ თანადგომას მიცხადებენ სოფლის სასიკეთოდ საკეთებელ საქმეებში.

ლამბალოში, მოგეხსენებათ, შენდება სკოლა, რასაც წლებია ველოდებით. სკოლას არა აქვს წყალი, რაზედაც ახლა ამაზე ვზრუნავთ.

რატომღაც შეჩერდა რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ლამბალო-თულარის დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელზეც 168308 ლარია გამოყოფილი. შეჩერდა მშენებლობა და რაც გაკეთდა, მას ის წყალი აზიანებს, რომელიც აქ ჩადინება წვიმების დროს... თუმცა, გეტყვით, რომ აქ ამ ხიდის სარეაბილიტაციოდ სულაც არ იყო საჭირო ამხელა სამუშაოების და ამხელა თანხის ჩადება. მისი გამოყენება სხვა მიმართულებითაც შეიძლებოდა. ამასთან, დავამატებ, რომ სასაფლაოს შემოსაღობად ის 40 ათასი ლარი ისევ სოფელს რომ მოხმარებოდა და სხვაგან არ გადანაწილებულიყო, კარგი იქნებოდა...

***მართალიცაა „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“...***

***სოფელს, თემს დღეს მოსაღონიერებლად სწორედ ისეთი წინამძღოლი სჭირდება, რომელშიც სოფელი სოფლის მოსახლეობაზე, სოფელზე მზრუნველ, ნამდვილ გულშემატკივარს შეიცნობს. ასეთებს კი თავადაც ისე გაჰყვებიან იმ შემართებით, იმავე სურვილებით და ისეთივე შრომითი მონაწილეობით, გარჯით, – ერთად იფიქრებენ და იზრუნებენ იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომელთა მოგვარებაც თავადაც შეეძლებათ...***

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა

# სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს (უფროსი კობა ცხვარიაშვილი) დღეს მართლაც რომ საპასუხისმგებლო დრო უდგას, თუმცა წლის ყველა თვე მათთვის დატვირთული და შრომატევადია. მართალია, ჩვენი მუნიციპალიტეტი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით თითქოს პატარაა, მაგრამ წვევამდელთა აღრიცხვა, სიების დაზუსტება, მათი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა სხვადასხვა მიზეზების გამო რთულდება. წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარე წელს აქ 2014 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით განხორციელდა. აგვისტოდან დაწყებული საშემოდგომო გაწვევა კი დეკემბრის ბოლომდე გასტანს. სამსახურის უფროსთან კობა ცხვარიაშვილთან საუბარში ნელ-ნელა იკვეთება მათი გამართული, ნორმალური მუშაობის ხელისშემშლელი მიზეზებიც...

საამაყოდ გასახსენებელი გვაქვს ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლების დროს არმიაში სამსახური, ჯარისკაცობა ვაჟკაცურ საქმედ ითვლებოდა. ბევრი დამერწმუნება, რომ ჯარიდან დაწუნებულს არც კარგ სამსახურში იღებდნენ და არც სასიძოდ იწონებდნენ. მშობლებს სამხედრო ნაწილებიდან მოსული მადლობის ბარათები რაიონული გაზეთის რედაქციაში სიხარულით მოჰქონდათ – თავიანთი შვილის წარმატებებით მხოლოდ ისინი როდი ამაყობდნენ. 90-იანი წლებიდან კი მაშინდელი ახალგაზრდების დასაცინი გახდა რუსის ჯარგამოვლილი. თუმცა სიმართლე ვთქვათ, იმ დამცინავებმა და მათნაირად დღესაც მოაზროვნე ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა როდი ინდომა თავისი მშობლიური ქვეყნის, საზღვრების უსაფრთხოების დასაცავად ქართულ შეიარაღებულ ძალებში სამსახური! ამჯერად, ფაქტია, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურიდან თავის დასახსნელად ათასნაირ მიზეზებს ეძებენ, ოღონდ ჯარისკაცის ფორმა არ ჩაიცვან, ოღონდ ყაზარმაში არ მოუწიოთ ცხოვრება. თუმცა, ჩვენდა გასაოცრად წვევამდელთა უმრავლესობას – 20-დან 12-ს ისეთი დაავადებები აქვს, რომლებიც საერთოდ ათავისუფლებს, ან დროებით უვადებს გაწვევას. ეს დაავადებებია: ჰეპატიტი, კანის დაავადებები, ბრტყელტერფიანობა, სხეულის განზრახ დაზიანება – ვენების გადაჭრა, ფსიქიური აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენა და წერა-კითხვის უცოდინრობა. ამას ერთვის აზერბაიჯანულ სექტორში წვევამდელთა აღრიცხვიანობის წლობით მოუწესრიგებლობა – ზოგიერთის აღრიცხვაზე აყვანას „ხელს უშლის“ დაბადების მოწმობის არქონა, ამდენად ეს პიროვნება რეგისტრირებული არ არის, თუ არის, იგი ტოვებს საქართველოს ტერიტორიას და გადადის მეზობელ სახელმწიფოში, რაც უფრო ართულებს სიტუაციას.

არადა, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მიხედვით, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა შესაძლებელია 17-დან 27 წლამდე ასაკის პირებისა, რომლებიც არ იდგნენ სამხედრო აღრიცხვაზე. მუნიციპალიტეტი ასეთი პირების სამხედრო აღრიცხვას ახორციელებს მათი გამოვლენისთანავე (მუხლი 14[3]). „სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ პირს ეწოდება წვევამდელი, გარდა იმ პირისა, რომელმაც სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა, ან რომელსაც იგი მოხდილად ჩაეთვალა (მუხლი 14[4]).

თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაეთვალოს სამხედრო-სავალდებულო სამსახური მოხდილად, აღნიშნულ კანონში შესულია ცვლილება, რის მიხედვითაც „წვევამდელს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სახელმწიფო სპეციალური წოდებით 4 წლის ვადით უწყვეტი სამსახური ჩაეთვლება სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდად. აღნიშნული პირი საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩაირიცხება რიგითი სამხედრო წოდებით“. ასევე, „წვევამდელის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის ორგანოში 4 წლის ვადით უწყვეტი სამსახური ჩაეთვლება სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდად. აღნიშნული პირი საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩაირიცხება რიგითი სამხედრო წოდებით“.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა თავდაცვის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში 35 მოქალაქე (ეტაპობრივად), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი დაწესებულების-სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოში – 20 მოქალაქე (ეტაპობრივად) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფებში – 26 მოქალაქე (ეტაპობრივად), მაგრამ სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის გავლისას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შეიძლება გამოვლენილ იქნას მთელი რიგი დაავადებები, რის გამოც ხდება წვევამდელის გაწვევის გადავადება ან განთავისუფლება სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან.

დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომლებს მართლაც დატვირთული სამუშაო აქვთ, თუმცა როგორც ვთქვით, წელიწადის 12 თვეს ისინი ყოველთვის ასე არიან. აი, ისინიც, ვინც მუნიციპალიტეტის წვევამდელთა სამხედრო სამსახურში გაწვევას ემსახურებიან:

**კობა ცხვარიაშვილი**

**დაიბადა** 1973 წლის 11 აპრილს ქ. რუსთავში. 1979 წელს შევიდა ქ. რუსთავის საშუალო სკოლაში. 1983 წელს სასწავლებლად და საცხოვრებლად გადმოვიდა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. 1987 წელს ჩააბარა ლესელიძის სახელობის სამხედრო სასწავლებელში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მხოლოდ 1 წელი ისწავლა და სწავლა გააგრძელა პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს.

1990-1991 წლებში სწავლობდა საგარეჯოს №55 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1992-98 წლებში სწავლობდა დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიაში“. 1998 წლის შემდეგ ეწეოდა კერძო სოფლის მეურნეობას, ჰქონდა საკუთარი ბიზნესი. 2003 წლიდან ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას. 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შემდეგ გახდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი „ეროვნული საბჭოდან“ 2013 წლის 1 თებერვლამდე. ამავე პერიოდიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსად, სადაც მუშაობს დღემდე.

ჰყავს მეუღლე ლია ზუკაკიშვილი და ორი შვილი.

**ზურაბ ჩაჩაურაშვილი**

**დაიბადა** 1973 წლის 3 აგვისტოს საგარეჯოს რაიონის სოფ. გომბორში. 1990 1993 წლებში სწავლობდა საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის ტექნიკა-საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე;

1993-1994 წლებში საქართველოს ღია ჰუმანიტარული სასწავლებლის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

1994-2007 წლებში მუშაობდა შ/საქმეთა ორგანოში;

2007-2010 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. ამჟამად არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დაოჯახებულია.

არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

**ნატო ბარიხაშვილი**

**დაიბადა** 1978 წლის 4 თებერვალს. 1995 წელს დაამთავრა საგარეჯოს №4 საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტ „სხივში“ სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2002 წელს. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში – 2005 წლიდან ექიმად, შემდეგ მთავარ სპეციალისტად სამედიცინო საკითხებში, ამჟამად არის მთავარი სპეციალისტი მობილიზაციის საკითხებში. 2002-2009 წლებში მუშაობდა საგარეჯოს პოლიტექნიკურ კოლეჯში და შპს „გოცი“-ში მასწავლებლად. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში იყო „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“-ს ტრენერი საგარეჯოს რაიონში.

ჰყავს მშობლები და ერთი და.

**ეკატერინე ტოპეშაშვილი**

**დაიბადა** 1968 წლის პირველ დეკემბერს სოფელ ნინოწმინდაში. 1974-1983 წლებში სწავლობდა ნინოწმინდის საშუალო სკოლაში. 1983 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს.

1995 წლის პირველი აპრილიდან მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონის სამხედრო კომისარიატში საერთო ქვეგანყოფილების უფროსად, ხოლო 2003 წლის რეორგანიზაციის შემდეგ მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში მთავარ სპეციალისტად.

**მარიანა ძევხიშვილი**

**დაიბადა** 1987 წლის 10 ნოემბერს ქ. საგარეჯოში. 1994 წელს შევიდა საგარეჯოს II საჯარო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 2005 წელს.

ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სახელმწიფო გრანტით, ხოლო 2010 წელს – ამავე უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე, ასევე, სახელმწიფო გრანტით. 2012 წლიდან დღემდე სწავლობს პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე, მუშაობს დისერტაციაზე „საქართველოს ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების ლობისტური საქმიანობა აშშ-ში.“

2013 წლიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში მთავარ სპეციალისტად. 2013 წლიდან ატარებს სემინარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანში „ლობიზმი და ინტერესთა ჯგუფები“.

ჰყავს მამა, დედა, ორი და.

დასაოჯახებელია.

**მანანა ბეგაშვილი**

**დაიბადა** 1984 წლის 20 ოქტომბერს ქ. საგარეჯოში. 1990 წელს შევიდა საგარეჯოს IV საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 2001 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის II სახელმწიფო სამედიცინო ტექნიკუმში.

2013 წლიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში მთავარ სპეციალისტად.

ჰყავს მეუღლე და შვილი

**ძაზუმოვი ავლათუნ**

**დაიბადა** 1955 წლის 9 ივლისს, სოფ ლამბალოში.

1972 წელს დაამთავრა იორმუღანლოს საშუალო სკოლა.

1973-1975 წლებში იმსახურა სსრკ შეიარაღებულ ძალებში.

1976 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა ლამბალოს საბჭოთა მეურნეობაში მუშად.

1980 წლიდან იყო ლამბალოს საბჭოთა მეურნეობის სპორტულ კომიტეტში.

1998 წლის მაისიდან მუშაობა დაიწყო იორმუღანლოს გამგეობის სამხედრო მაგიდის უფროსად, 2000 წლიდან გადავიდა ლამბალოს გამგეობის სამხედრო მაგიდის უფროსად.

2006 წლის 13 დეკემბრიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში სპეციალისტად.

ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

მართლმადიდებლობა

# ბერი გაბრიელი – აღმსარებელი და სალოსი

## საგარეჯოს ქუჩებში სიყვარულის საქადაგებლად მოსიარულე

**ბერი გაბრიელი, საქართველოს ეკლესიის მიერ 2014 წელს წმინდანად შერაცხული, სიცოცხლეშივე მრევლის მიერ წმინდანად იყო აღიარებული. ერისკაცობაში გოდერძი (ვასიკო) ურგებაძე წარმოშობით სოფელ კაკაბეთიდანაა, ურგებაძეებმა შემდეგში გვარი მარგებაძეებად გადაიკეთეს, მან დაიტოვა თავისი გვარი ურგებაძე– სალოსსა და აღმსარებელს ალბათ ასე ეწადა უფლის ნებით.**



**ბევრ** საგარეჯოელს ეხსომება 60-70-იან წლებში და შემდეგში ბერი გაბრიელი ბერულ ჩოხაში შემოსილი საგარეჯოს ქუჩებში. დადიოდა და შეგვახსენებდა, რომ ჩვენ ქართველი, მართლმადიდებელი ერი ვართ, რომ ქრისტეს გზიდან გადახვევა არ შეიძლება, რომ ჩვენ მსოფლიოს წინაშე ღმერთი უდიდეს მისიას გვაკისრებს.

საგარეჯოში ის მორჩილ ნინო (შემდეგში დედა მარიამად მონაზვნად აღკვეცილი), ფეიქრიშვილთან სახლში ჩერდებოდა. ყველა შემხვედრს სიყვარულს, ღმერთის სიყვარულს უქადაგებდა. განსაკუთრებული სიყვარულთ უყვარდა ბავშვები, მოხუცები. ზოგი უგებდა, ზოგი ვერ ხვდებოდა მის სალოსობას. ერთი ეგ მახსენდება ჩემი ბავშვობიდან, რომ ისეთი თბილი, ალერსიანი მზერა, თვალები მხოლოდ მასში (შემდეგში ბერ გაბრიელში) მინახავს, მარტო თვალებიდან კი არა, სახიდან ასხივებდა კაცთმოყვარეობის დიდი ნიჭი და ამ ნიჭის ფლობით მოზეიმე სული... ბერმა გაბრიელმა და მორჩილმა ნინომ (რომელიც 55 წელი მორჩილი იყო და მხოლოდ მოღვაწეობის 56-ე წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაჟინებული კურთხევით აღიკვეცა მონაზვნად) არაერთი დაკეტილი სამლოცველო, პირუტყვისაგან შებილწული ეკლესია გაწმინდეს, გაასუფთავეს საგარეჯოში და ახლომდებარე სოფლებში. მათ მიერ აღვლენილი ლოცვების ძალით და მადლით შემდეგ უკვე მოსახლეობა პატრონობდა კომუნისტებისაგან დაქცეულ და კედლებმორღვეულ ბევრ სამლოცველოს, ბევრმა გვარმა საგარეჯოში და სოფლებშიც ითავა და აღადგინეს კედლებიც, სახურავებიც, ხატებიც შეიტანეს და მღვდლებსაც ხელმძღვანელი კომუნისტების უჩუმრად აკურთხევინებდნენ ხოლმე, მათგან ჩუმად, იმ კომუნისტების ჩუმად, თავადაც ხალხის ჩუმად ღამღამობით რომ „დაიძურწებოდნენ“ იმავე სამლოცველოებსა თუ ეკლესიაში...

ბერი გაბრიელი 1995 წლის 2 ნოემბერს ზეციური საქართველოს წმინდანთა დასს შეუერთდა. იგი დღესაც არის და ქრისტეს მეორედ მოსვლისასაც მართლმადიდებლური საქართველოს და თითოეული მართლმადიდებლის მეოხი და შემწე იქნება.

*წიგნიდან „გაბრიელ ბერი“*

***ეკლესიისა და ღვთისმოძულე სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა, უდაბნოდ ექცია ყველა ტაძარი, სადაც ხალხს უფლის სიტყვასა და საქმეებთან საზიარებლად მისწვედა გული. აქედან გამომდინარე, მამა გაბრიელს მრავალ სხვადასხვა ეკლესიაში მოუწია მცირე-მცირე ხნით მღვდელმსახურება, ხოლო სრულიად საქართველოს ყველა ეკლესია, მოქმედი თუ დახურული-დანგრეული, მოლოცვილი ჰქონდა.***

გაბრიელ ბერი და მისი სულიერი და ნინო (შემდეგში დედა მარიამი – საუბარია ნ. ფეიქრიშვილზე) ერთად დადიოდნენ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში. მაშინ დედა მარიამი ჯერ აღკვეცილი არ იყო, მაგრამ სარწმუნოებრივი შემართება იმდენად მძლავრი ჰქონდა, რომ მამა გაბრიელის დიდ სიყვარულს, პატივისცემასა და ნდობას იმსახურებდა. როდესაც ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც დედა მარიამი იხსენებს, მამა გაბრიელს მისთვის უთქვამს, – ამიერიდან, ჩემი სიცოცხლე ქრისტესთვის შემიწირავს, რაც ძალა და ღონე მაქვს, მას უნდა ვემსახურო. აიღებდა ბარძიმს და სეფისკვერს, თან რამდენიმე მტკიცედ მორწმუნეს გაიყოლებდა და დადიოდნენ მთელ საქართველოში. არც ერთ ეკლესიას თუ მის ნანგრევს არ ტოვებდნენ. წმინდა ტაძრების შემუსვრილ ნაშთებზე წირვა-ლოცვის დაყენებისას ასე იტყოდა ხოლმე:

– აქ, ამ საძირკველს, თავისი მფარველი ანგელოზები დასტრიალებენ თავს და ტირიან, რომ აღარავინ მოდის სალოცავად. ჩვენი ლოცვითა და ამ ეკლესიათა ფუძის ანგელოზების კურთხევით ვიშუამდგომლებთ ღმერთთან და ასე გაივსება მთელი საქართველო ეკლესია-მონასტრებითა და ჭეშმარიტი მღვდელ-მონაზვნებით.

წვიმასა და ყინვაში, სიცხესა თუ სიცივეში წირავდნენ უსისხლო მსხვერპლს შემოქმედ მეუფეს. ხშირად, ყინვით გათოშილები, ხელებს ვეღარ იმორჩილებდნენ, თითებს ვერ ამოძრავებდნენ, ლოცვანი რომ გადაეშალათ და ენითღა ფურცლავდნენ, მაგრამ, როგორც დედა მარიამი იხსენებს, – როცა მადლიან ხელებს აღაპყრობდა და ლოცვას აღავლენდა, გაყინული თითების ტკივილსაც ვეღარ ვგრძნობდითო, – ყოველგვარი ფიზიკური შეჭირვებანი მეყსეულად ავიწყდებოდათ.

ერთხელ ალავერდში ავიდნენ ღამისთევით. მათთან ერთად იყვნენ მორწმუნე ახალგაზრდები. იმ დროს ჭაბუკი მირიანი (შემდგომში მეუფე თადეოზი) ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა. ღამის სიბნელეში ალავერდის მოხილვის წყურვილით ანთებული ყმაწვილი ადვილად დაიბნა და გზა დაკარგა, წაიქცა, შუბლი ქვას დაჰკრა და გაიხეთქა. რიჟრაჟზე, ცისკრის ლოცვისას, ძლივს გამოიგნო გზა. მამა გაბრიელმა დანანებით მიმართა ნინოს:

– დაო, კარგი მწყემსი თავის საპატრონოს ასე არ დაკარგავდა, წადი, მოიძიე, რა შეემთხვა.

ნინო, რომელსაც ყველა „კახელ ნინოს“ ეძახდა, შეწუხდა, დაფაცურდა, მაგრამ, როცა საკმაოდ დაშავებული და შეცბუნებული მირიანი დაინახა, მოეფერა და დაუყვავა. მამა გაბრიელმაც სიყვარულით უთხრა: – ალავერდი რომ მოგელოცა, ამისთვის შუბლის გახეთქვა კი არ იყო საჭირო.

მამა გაბრიელი გარეჯის მონასტერსაც ხშირად სტუმრობდა. უყვარდა, როცა მასთან ერთად სხვა მორწმუნე თუ მორჩილიც მოილოცავდა ასე უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებს. იქ თვეობით რჩებოდა. არაფრის დიდებით არ დაიტოვებდა საჭმელ-სასმელს, – როდის ყოფილა მეუდაბნოე მამებს ასე ეზრუნათ საჭმლისათვის, ბერები საცა მიდიოდნენ, თან კი არ დაჰქონდათ საგზალი, ღვთის ნებით, თავად ვიშოვი საზრდელსო. მისი თავდადებით აღფრთოვანებული სულიერი და-ძმები და მეგობრები ხშირად აკითხავდნენ, მისი ლოცვის მადლს იზიარებდნენ..

შინ მობრუნებული მამა გაბრიელი მძიმე სენმა შეიპყრო. უკვე მონაზვნად შემდგარ დედა მარიამს გულმა უგრძნო მისი შეჭირვების ამბავი.

დედა მარიამის მოგონებიდან:

– ვლოცულობდი და თითქოს ჩამესმა : „სწრაფად წადი გაბრიელთან!“ გავიფიქრე, ალბათ, ეშმაკისგანაა და მეჩვენება-მეთქი, პირჯვარი გამოვისახე, ლოცვა მაინც ვერ გავაგრძელე, წიგნი გამივარდა ხელიდან. სამჯერ განმეორდა ასე და ვიფიქრე, უფლის ანგელოზი მაფრთხილებს მეთქი“.

დედა მარიამი სასწრაფოდ გაეშურა მამა გაბრიელისკენ და როცა მივიდა, სულთმობრძავი იხილა, უკვე ხრიალებდა. სასთუმალთან დაუჯდა, გულმხურვალედ ილოცა. ამის შემდეგ მამა გაბრიელი მალე გამოკეთდა, სუნთქვა დაუმშვიდდა.

მამა გაბრიელს მრავალი ხილვა და წინასწარმეტყველება მიეცა ქვეყნისა და ეკლესიის მომავალზე. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ეუწყა მას ცნობა ილია II-ის შესახებ და დედა მარიამს გაუმხილა, იგი იქნება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი; მრავალ ტანჯვას გამოივლის მოღვაწეობის მანძილზე, მაგრამ მისი საქმეები გვირგვინად დაადგება, დაამშვენებს და გააბრწყინებს საქართველოს საკათალიკოსო ტახტსო.

მეუფე იობის შესახებ პირდაპირ უთხრა გაბრიელ ბერმა დედა მარიამს მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ეკლესიის ნახირს მწყემსავდა მორჩილებაში:

– იგი გახდება მწყემსი და მოძღვარი. მისი გამოზრდილი ბერ-მონაზონნი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ღვთისმოსავნი იქნებიან და სიმართლით ემსახურებიან ეკლესიას.

ქედმაღლობის, შურის, დაცინვისა და თავხედობის მორევში ჩაძირულ ადამიანებს უქადაგებდა:

– საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს; ცოდვები ცოდვებია. ცოდვებს ადამიანის სიყვარულთან, აბა, რა საერთო აქვს. დამიჯერეთ, ნამდვილ ამბავს გეუბნებით, ცუდი ადამიანები საერთოდ არ არსებობენ, მე ჯერ ცუდ ადამიანს არ შევხვედრივარ!გაბრიელ ბერი სიონის ტაძარში წირვა-ლოცვას კვლავაც ატარებდა. მრევლმა მას ქართველი ერის აღორძინებისა და გამრავლებისათვის პარაკლისის გადახდა სთხოვა. მამა გაბრიელმა პარაკლისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე გადაიხადა წმინდა სამების ეკლესიაში, რის შემდეგაც საშინელი გამოცხადება იხილა.

გაბრიელ ბერის ნაამბობიდან:

**– ორნი მოვიდნენ. ძველი მეომრებივით ეცვათ. ერთმანეთს ჩემზე მიუთითეს,– აი, ეს არისო. აქეთ-იქით ამომიდგნენ და სადღაც წამიყვანეს. ძლივს გავარჩიე, თეთრი შენობა იყო, ოღონდ ჯვარი არ ჰქონდა. სადღაც ბნელ ოთახში შემიყვანეს, კარი დამიკეტეს და დამტოვეს. სიბნელეს თვალი კარგად რომ შევაჩვიე, დავინახე ქვის იატაკზე მოფენილი თითის სიგრძე, მკვდარი, გასისხლიანებული ბავშვები. ჭერის ხვრელიდან კი კვლავ დახოცილი ბავშვები ცვიოდნენ ისე, რომ ფეხი არსად დაიდგმებოდა. სისხლით იყო მოსვრილი იქაურობა. ფეხი რომ არაფრისთვის დამედგა, მივიწიე და ფეხის წვერებზე შევდექი. ამ დროს, კარი გაიღო და ხმა გაისმა: „მობრძანდება! მობრძანდება!“ მე გამიკვირდა, – ვინ მობრძანდება?! ალბათ, ამათი უფროსია, ვთხოვ და, იქნებ გამიშვას-მეთქი. ისევ ის ორნი შემოვიდნენ, ისინი, ვინც აქ მომიყვანეს, შესასვლელსა და გასასვლელში ჩადგნენ, აღარ მიშვებდნენ, კედელს ავეკარი. ავიხედე და დავინახე ანგელოზებითა და წმინდანებით გარსშემოხვეული ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მობრძანდა. თეთრი სამოსელი ეცვა. მაშინვე ვიცანი. „აი, ეს არის, გამრავლებას რომ ითხოვდაო“ – და იმ ორმა ჩემზე მიუთითა. ღვთისმშობელმა მკაცრად შემომხედა, იატაკზე სისხლით მოსვრილ ბავშვებზე მიმითითა და მითხრა: „ამისთვის მევედრები? ასე გამრავლდება საქართველო?!“ მე ვამრავლო და ამათ დახოცონ?! გატრიალდა და წავიდა. იმ ორმა წამომიყვანა და ჩემს კელიაში დამაბრუნა.**

**გაბრიელ ბერმა მეორე დღესვე მოუთხრო ეს ჩვენება მათ, ვინც პარაკლისს ესწრებოდა. ამის შემდეგ კი, ყველა ქალს, დიდსა თუ პატარას, ევედრებოდა და შესთხოვდა:**

**– დედებო! აბორტს ნუ გაიკეთებთ, საქართველო დაღუპვას გადაარჩინეთ!– აფრთხილებდა: – ისე შევშინდი, განრისხებული ღვთისმშობელი რომ ვიხილე, არ ვიცოდი სად წავსულიყავი, არავის ვუსურვებდი, ასეთი ენახოს ცისა და ქვეყნის დედოფალი.**

„მიწა ვარ და მიწად ვიქეც, ჩავემარცვლე ქრისტეს ყანას“

ხსოვნა

**დედა**

***(ეძღვნება ნინო შათირიშვილის ხსოვნას)***

დაბადებულხარ
გიორგობისთვეს,
ქართველი ქალი,
ქართველი დედა,
გწყალობდეს
წმინდა გიორგის
მადლი,
ღვთიური მადლი,
ღვთიური ზენა.
შვილური ვალი
მუდამ
თან დამდევს,
სიკეთისაკენ
ბიძგს მაძლევს
ყველგან,
გაგახარებდა ტანჯული გული,
რომ ბედნიერი მენახე, დედა.
გფარავდეს ნინოს ვაზის რქის ჯვარი,
შენც ხომ ნინო ხარ, ძვირფასო დედა.
მე არ შევარცხვენ შენს წმინდა სახელს,
თუნდ გადავიქცე წამების მსხვერპლად.

*ლია*
*გრძელიშვილი*

**გია ყავრიშვილის მონატრება**

**უკვე** 5 წელი გავიდა – გაუსაძლისი, ცრემლიანი 5 წელი, რაც ჩვენთან აღარ ხარ, შვილო გია. 27 ნოემბრის შემზარავმა ტრაგედიამ ულმობელი სისასტიკით დაასრულა შენი ზღაპარივით ლამაზი სიცოცხლე. უკანასკნელი ფოთოლივით უჩუმრად დაეფინა მიწას შენი სხეული, ჩაქრა სიცოცხლის ნაპერწკალი, კეთილი სული კი აისის მზის სხივებმა აიტაცა. 5 წლის წინ , 27 ნოემბერს ძლიერად იქუხა შენი ოჯახის თავზე, ცამ განრისხებით დაგვიშინა მეხი და ცრემლის ისრები, ცრემლებმა შემოსა ერთადერთი ვაჟის დამკარგავი დედ-მამა და შენი საყვარელი დები, შავებში გაეხვია შენი კარ-მიდამო.

წარსულში ისე გადაგასახლა, არაფერი არ გვკითხა ბედისწერამ, – გვიხაროდა შენს გვერდით ყოფნა, რადგან შენ სადაც გაივლიდი, ყველგან სიკეთესა და სიყვარულს თესავდი, ღიმილს სტოვებდი. იმედი გქონდა კარგი მომავლის, მაგრამ ვაი, რომ ბედმა გიმუხთლა და შენს სურვილებს არ ეწერა ახდენა.

ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის სიცოცხლე, ჩემო საფიცარო შვილო, გია. უშენოდ ჩვენს სიცოცხლეს ფასი დაეკარგა, მაგრამ განგება ისევ გვაძლევს ძალას, რომ ისევ ისე მოგეფეროთ, გაგიხსენოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ შენი დანატოვარი შვილების გიგისა და მარიამისათვის.

ჩემო მონატრებულო შვილო გია, ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო, დედას სიხარულო და დედის ტკივილო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ვიცით, არასოდეს დაგივიწყებენ შენი თანამშრომლები, შენი ძმაკაცები, ახლობლები, სანათესაო, ჩვენ ყველა ერთად ვევედრებით უფალს – ნათელში ამყოფოს შენი სული, ღმერთმა დაგიმკვიდოს ცათა სასუფეველი.

*მშობლები*

## ვოდოცა

# რომან ზუკაკიშვილი

*„პოეზიის ჯადო არის ჩაფიქრების ხიბლი, რომელიც ისეთ სიმშვიდეს გვგვრის, რომ ისღა დაგვრჩენია, მთლიანად დავნებდეთ, მივენდოთ მას, მაგრამ ეს დანებება ხდება არა პასიურად, არამედ აქტიურად, რადაც ჩვენზე უფრო დიდი და კარგი გვაიძულებს ასე მოვიქცეთ.“*

*უილტერ პასტერი*



**რომან ზუკაკიშვილი** ჩვენი თანამემამულე, დიდი გოგლას თანასოფლელი, პროფესიით ფილოლოგია – ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქართულ ტრადიციებზე, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული. სწორედ ეს უსაზღვრო და უკიდეგანო სიყვარული უდევს ლიბოდ მისი ლექსის თითოეულ პწკარედს, თითოეულ სტროფს. პოეტი, რომელიც საკუთარ თვალის ჩინს ვერ მოუფრთხილდა, მაგრამ გულის თვალებით უყურებს და მართლაც თვალისჩინივით უფრთხილდება თითოეულ ქართულ სიტყვას, გულში წურავს, სულის ქურაში ატარებს და სწორედაც რომ გულიდან ამოსული მშვიდობის მტრედებად, სიყვარულის შროშანებად სალბუნად გვედება და შეგვახსენებს, რა დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს უფლისგან მონიჭებულ ბედნიერებაზე – რომ დავიბადეთ ღვთისგან კურთხეულ მიწაზე და ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში.

პოეტის ლექსებმა არაერთხელ შემოხსნა ჩვენი გულის კარი კრებულებად აკინძულმა და არაერთხელ გაგვახარა, გაგვითბო გული. ჩვენი გაზეთის მკითხველს მისი ლექსების გერმანულ ენაზე მთარგმნელი, წარმოშობით საგარეჯოელი ნინო მჭედლიშვილიც გავაცანით, ის კრებულებიც, რომლებსაც ზოგჯერ სტამბის საღებავებიც არ ჰქონდა შემშრალი.

დღეს კი პოეტი რომან ზუკაკიშვილი ჩვენი სტუმარია და მის ახალ ლექსებთან ერთად ინტერვიუსაც გთავაზობთ.

ბ-ნ რომანს სულ ახლახანს ამქვეყნად მისთვის უძვირფასესი დედა გარდაეცვალა, რომლისთვისაც არაერთი ლექსი მიუძღვნია. ამ ლექსებს ჩვენც, მისი ნიჭის თაყვანისმცემელებიც დიდი მოლოდინით ვხვდებოდით, რადგან რომანის პოეტურად ნათქვამი სიტყვებით ჩვენს დედებსაც ვეფერებოდით. მოზიარე ვართ ბატონი რომანის ტკივილისა, რაც მან ძვირფასი დედის, ქალბატონი მარგალიტას ამქვეყნიდან გასვლით განიცადა.

***ბ-ნო რომან, გქონდათ თუ არა „ყოფითობაში ჩაკარგვის საფრთხე“. ანუ, გრჩებათ დრო პოეზიისათვის?***

– ცხოვრება მრავალმხრივი ურთიერთობაა – პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელთა დროსაც ჩნდება პრობლემები, რაც თავის მხრივ იწვევს იმას, რომ ადამიანი ერთის მხრივ იღლება და იხარჯება და მეორეს მხრივ, იწრთობა კიდეც. მაგრამ თუ ნიჭი გაქვს მომადლებული, ის მოსვენებას არ მოგცემს, შთაგონებას ვერ დაემალები და დროს თვითონ მოგაძებნინებს ყოველთვის. სულიერი შემოქმედება გალამაზებს შენც და შენს გარშემო მყოფთაც. გიადვილებს ცხოვრებას, და მხოლოდ მიმბაძველობით და შექმნილი ვითარებასთან მოხერხებულად ადაპტირების სურვილით არა ხარ შეპყრობილი. ასე, რომ მრავალი სირთულის მიუხედავად, შთაგონების დროსაც პოულობ წერისათვის.

***– სამშობლო ხელოვანს კი არ იმონებს და კალაპოტში მოაქცევს, პირიქით, მას დიდ თავისუფლებას ანიჭებს, თუკი სწორად გვესმის სამშობლო, პიროვნება, თავისუფლება...***

– არსებობენ ყოვლისმომცველი ცნებები, რომლებთანაც სიყვარულით ხარ მიერთებული. ასეთია, მაგალითად, სამშობლო. შენ და სამშობლო ერთი მთლიანობა ხართ და ერთმანეთის ბედს განსაზღვრავთ. სიყვარული მაშინაა სიყვარული, როცა უსაზღვროა და მას რომ ემოინიქნები, სწორედ მაშინ ბი თავისუფალი. თავისუფლებ-ბა ის კი არაა, რაც გსურს ის აკეთო, არამედ, ფილოსოფიური განმარტება რომ მოვიშველიოთ, თავისუფლება არის ის, როცა შენ თავისუფალი ხარ. – დაწერილი თუ დაუწერელი კანონების და დამკვიდრებული წესების, ტრადიციების პატივისცემაში, როცა შენ თავისუფალი ხარ შენს არჩევანში.

ყველაზე დიდი არჩევანი კი, ღვთისაგან ბოძებული სიყვარულია, მათ შორის სამშობლოს სიყვარული, რომელიც აღგაფრთოვანებს და შენი, როგორც ადამიანის სრულყოფილებას დაადასტურებს.

მეც, როგორც ერთი პოეტი, ბედნიერი ვიქნები თუ ჩემი სამშობლოს უღელი მედგმევა.

***– ახალგაზრდები სავსე არიან ცინიზმით, რომელიც მათი კომპლექსების თავშესაფრად ქცეულა. ეს თაობა გამოდის ასპარეზზე და ყველაფრისადმი პროტესტიც სწორედ მათ ნაწერებში პოულობს გამოხატულების ფორმებს. მათი აზრით პოეზია „გრძნობა“ „საღმრთო და ამაღლებული საქმე“ კი არა, კომპლექსიანი ადამიანების არტთერაპიაა, რომლის მეშვეობითაც ყველას, ნებისმიერს შეუძლია წეროს ის, რაც მოეპრიანება...***

– პოეზია სწორედ რომ ღვთიური ნიჭით შექმნილი ფენომენია. ჭეშმარიტება თავისთავად არსებობს. მას გონიერი ადამიანი აღმოაჩენს, ნაკლებგონიერი კი ვერა. ეს უკანასკნელი ჭეშმარიტებად იმას თვლის, რასაც თავისი მოკლე გონებით მისწვდება. ზოგის ცინიზი და ლიტერატურის საეჭვო ტენდენციებით გატაცება ე.წ. ტექნიკური პროგრესის და აღზრდა-განათლებაში დაშვებული შეცდომებითაა განპირობებული. თუმცა ეს საუბრის ცალკე თემაა და შორს წაგვიყვანს. მე მხოლოდ გეტყვით, რომ მადლობა ღმერთს, ახალგაზრდობის დიდ ნაწილს მცდარად არ უნდა ესმოდეს პოეზიის არსი. წლები წავლენ და უსახური, შთაგონების გარეშე „გაკეთებული“ ლექსები უკვალოდ დაიკარგებიან, რადგან ნადდი პოეზია ისაა, რაც დროისა და ხალხის მკაცრ შეფასებებს უძლებს. ჩემის აზრით, პოეზია უფალთან სასაუბრო ენაა და სხვა შემთხვევაში ჩემგან ხსენებული „გაკეთებული ლექსი“ არ შეიძლება ჩაითვალოს პოეზიად. ის ლიტერატურის გაურკვეველი და სიყალბის ელფერით შემოსილი ჟანრის შემადგენელი ნაწილია. გესმოდეს ჭეშმარიტი პოეზია, როგორც ერის სულიერების გამოხატულება, ნიშნავს, რომ შენც ხარ ღირსეული შემოქმედი..

*„შენ შეგიძლია დამარხულ მტკვრში სიტყვები, ლაზარესავით აღადგინო“*

ვანანა ჩიტიშვილი

*„პოეტები სულის სამოსს ბეჭრავენ და ამ სამოსს შიშველსა და უპოვარს ვაცმევთ... ბეჭრავენ მათთვის, ვინც ტკივილს, სულიერ შიმშილს განიცდის.*

ვანანა ჩიტიშვილი

***

გინდა რომ თავი გამოიჩინო
უხამსი სიტყვით.
შენს გამოჩენას თავს დაუხრის
მხოლოდღა ბრიყვი.
ლანძღავ რუსთაველს, ჭავჭავაძეს,
ვაჟა-ფშაველას,
ვითომდა ხვდები იმას,
ხვდება რასაც სხვა ვერა,
მაგრამ არ მიკვირს: ზოგი რქიანი
თვით ღმერთსაც ერჩის.
მზეს ლაფს რომ ესვრი,
ლაფი შენვე შეგრჩება ხელში,
ვერ მიიქციე ყურადღება,
უკვე ვერაფრით,
ნაკელს ჭამ, რაკი თაფლი არ
გაქვს,
უარყავ თაფლი...
არ გაიოცებს შენს საქციელს
ერი და ბერი,
არ გაიოცებს, რადგან
მათი აღარ ხარ წევრი.

***

დედა ძველ სკივრში კიდევ
ერთხელ ეწვია წარსულს,
ამოალაგა დაკეცილი სამოსი
მშვიდად.
რაკი შეესწარ, თითქოს სევდა
დამალა შვილთან,
მაგრამ თვალები მეტყველებენ,
თუ გული რას წუხს.
აქ მამაჩემის ხალათის ფერი
ბურანში მახვევს,
იმედს მაძლევ და მერეც,
როცა ვეხეტე ობლად,
ახლა კი შევკრთი და ისეთი
გამიჩნდა გრძნობა,
გრძნობა, რომელსაც ვერ
დაარქმევ უბრალოდ, სახელს.

## სიმართლე

სინათლის გარეშე გზას ვეღარ
იკვლევენ,
სიმართლეს ესვრიან და
ხდებიან თვითმკვლელნი.
სიმართლე ერთია, სუფთა
და ალალი,
თავს ვინც ვიმართლებთ კი,
ჩვენა ვართ მრავალნი.
ის ბრწყინავს, თუნდა შენ
ვერ შეძლო დანახვა,
სიმართლე განძია, მაგრამ ვერ
დამარხავ!..
ლამაზი სიტყვები არაა ეს
მხოლოდ,
სიმართლეს თუ ებრძვი,
ნიშნავს, ღმერთს ებრძოლო...

## ლიტერატურული გვერდი

## ექსპრომტად თანაკურსელებს

**(ხუმრობით)**

ნალექიანი ყავაც, ამინდიც,
გულდახურულთა კარტი იხსნება.
კარტი, რა კარტი? –
დაბლა დაფრინდი.
სულყველაფერი არის
ღვთის ნება.
თავს იწონებენ და
ცხელ-ცხელ ჟარგონს
ზოგჯერ თან ახლავს
მზერა გულგრილთა.
ნუ დანებდები სიავეს, კარგო,
სიამე შენთან იყოს თუ გინდა!
დაუსრულებლად
ვტრიალებთ წრეში
ოქროს მონაა, ოქროს პატრონი.
ჩვენ დავაწესეთ ათასი წესი,
მაგრამ ღვთის წესთან ვრჩებით
მარტონი.

***

ბევრჯერ გავალ ამ არედან,
რომ მოვბრუნდე შეუცვლელი.
ვინაც თვალი ამარიდა
ჩემს სევდაში შევიფარე.
აღარ გაკრთობთ ჩემი ცრემლი
და ჩადგომა ჩემი ქარის.
დასრულდება ნეტა მალე?
ვშიშობ ყველა შეხვედრაზე
აღარ დარჩეს ნატამალი
იმ ჩრდილისა, რამაც გვდია.
ეს უბრალო სილამაზე
თუ მიხვდებით, სხვა მადლია.
ცად ვარსკვლავი არეკლილა –
სულში ძველი ცრემლის შუქი...
ვერ ავცდით გზას ნარ-ეკლიანს
იოლი გზით წამოსულნი.
სხვისით ვხარობთ –
სიხარული
ვერ იქნება მარ-
ტოსული...

*„ლექსებს კი არ ვწერ, მე ვეძებ სიტყვებს, რომელთაც ერთიერთი უყვართ“...*

ვანანა ჩიტიშვილი

## კომპიუტერ-თან

სიბრძნე კი არა, წიგნების სულიც
კი მახსოვს კარგად,
მავსებდნენ რარიგ...
გამითავისა ათასმა მზემ,
ხოლო ათასმა ქარმა
შეცვალა დარი.
ყველა მიღწევა კარგი არის,
დრო მისას ითხოვს,
მაგრამ თქმას ვბედავ,
დედინაცვალი რაც არ უნდა
ლამაზი იყოს,
ვერ შეცვლის დედას.

# ᲘᲡᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ

**ᲣᲙᲕᲔ** მეთერთმეტე სასწავლო წელია, რაც ** თეა ᲑᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ** იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების პედაგოგია. თერთმეტწლიანი სამუშაო გამოცდილება და აქ მუშაობის მანძილზე შეძენილი აზერბაიჯანული ენის ცოდნა, ახალგაზრდა პედაგოგს დიდად უწყობს ხელს იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებაში, რასაც სხვა მოსწავლეებთან ერთად ქვეყნის საგანმანათლებლო რეფორმა უყენებს ეთნიკური უმცირესობისათვის ქართული ენის სწავლებაში. მისი აღსაზრდელები თუ აღზრდილები სკოლის მოსწავლეებში მუდამ გამოირჩევიან ქართული ენის ცოდნით.

მიმდინარე სასწავლო წლისათვის თეა მასწავლებელმა ახალი პირველკლასელები ჩაიბარა აღსაზრდელად. 23 აზერბაიჯანელი მოსწავლე პირველად თავის ცხოვრებაში მისი ხელმძღვანელობით შეუდგებიან მათთვის უცხო, მაგრამ მეორე მშობლიური – ქართული ენის შესწავლას. იმედია მათი ქართველი აღმზრდელი არც ახლა დაიშურებს თავის ძალასა და გამოცდილებას მათ მიერ სახელმწიფო ქართული ენის სრულყოფილად შესწავლისათვის. წარმატებები ვუსურვოთ მას ამ დიდ და კეთილშობილურ საქმიანობაში.

***

**ᲒᲘᲕᲘ ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მეხუთე წელია იორმუღანლოს საჯარო სკოლის აზერბაიჯანული სექტორის დაწყებითი კლასების ქართული ენის მასწავლებელია. წელს მას ოთხი პირველი კლასი ჰყავს, რომელშიც 100-ზე მეტი პირველკლასელია. ისინი ინტერესით უსმენენ მასწავლებელს და დიდი მონდომებით ცდილობენ ქართულ ენაზე ლექსიკური მარაგის შევსებას, ქართული ანბანის ელემენტების რვეულში ფაქიზად გამოწერას..

# ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝ



**ᲐᲠ** მეგულება ადამიანი, რომელსაც არ უყვარს დედა, დედა სიცოცხლის საწყისი... სწორედ ასეთია ქ-ნი ნუნუ საგინაშვილი-ქურხული. მუდამ ხალისს რომ აფრქვევს ირგვლივ მისი ღიმაზი, გასხივოსნებული სახე 92 წლის ასაკში. მასთან სტუმრობა ნამდვილი ზეიმია. შვილების და შვილიშვილების საყრდენი წერტილი, მათი ფიქრების ყოველდღიური თანამგზავრი. ამ გადასახედიდან ნათლად ჩანს მისი რაობა. მან და მისმა მეუღლემ აწ გარდაცვლილმა ბ-ნმა ფირუზ ქურხულმა თავიანთი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად ზიდეს ცოლ-ქმრული უღელი. მათ სიყვარულით შექმნეს ოჯახი. სამშობლოს აღუზარდეს სამი ღირსეული შვილი, ორი ვაჟკაცი – ვასიკო, თემური და ერთი ქალიშვილი ლალი. ასწავლეს შვილებს სიკეთე და კაცთმოყვარეობა, მისცეს განათლება, შეაქმნევინეს საუკეთესო ოჯახები. ბედნიერად ცხოვრობდნენ სასიქადულო შვილებთან ერთად. საოცრად მოსიყვარულე, თბილი, მზრუნველი მეუღლეები, დიახ, ორივე გულით უდიდეს სიყვარულს ატარებდნენ, ყველას უანგაროდ ეხმარებოდნენ. ყველასათვის კეთილი განწყობის ადამიანებს, ვინც მოდიოდა მათთან დასახმარებლად, ნაწყენი არავინ გაუშვიათ, როგორც შეეძლოთ ისე ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს. კარგად მისდევდნენ თავისი ცხოვრების გზას და საქმიანობას.

ქ-ნო ნუნუ, თქვენ იყავით ერთგული მეუღლე, ამჟამად ხართ ეტალონი დედა, ყველასათვის ახლობელი, ყურადღებიანი, ერთგული, ყველანაირ საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობით გამორჩეული დიასახლისი, უმაღლესი კულინარი, მუდამ მზრუნველი, ალალ-მართალი, სპეტაკი სულით და უსაზღვრო ადამიანური სითბოთი აღსავსე. თქვენი შვილები და შვილიშვილები მზად არიან იარონ თქვენს მიერ განვლილი გზით.

დიდი მადლობა ამ ყველაფრისათვის ზნეკეთილო ქალბატონო, ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობენ თქვენი შვილები და შვილიშვილები, ეს კი თქვენი დამსახურებაა – გზა სიმართლისა, გზა ადამიანობა, გზა – ოჯახის, ნათესავების, მეზობლების, მეგობრების და სამშობლოს სიყვარულისა. უსაზღვროდ კეთილო, სათნო და მოსიყვარულე დედავ და ბებიავ, ფასდაუდებელო, ამაგდარო. ამ ასაკშიც კი სიბერეში ღირსეულად აგრძელებთ ხანგრძლივი ცხოვრების რთულ გზას, თქვენი სითბო, სიყვარული, კეთილი სურვილები, უანგარო დამოკიდებულება, არ დაგვავიწყდება თქვენს სამეგობროს. დღესაც მზადა ხართ დამეები ათენოთ, ოღონდ უნაკლოდ ემსახუროთ თქვენს საყვარელ ოჯახს. ამ ასაკში ხალისით სავსემ, ყველასათვის კეთილი განწყობით გამორჩეულო ადამიანო. 7 ნოემბერი თქვენი დაბადების დღეა, ქ-ნო ნუნუ, გილოცავთ და გისურვებთ, რომ მიაღწიოთ 100 წლამდე, აფერუმ თქვენს ქალობას.



***პატივისცემით: თქვენი საკუთარი მეზობელი***

*ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲥᲐᲠᲡᲐᲣᲚᲘᲫᲔ*

## ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲘᲕᲘᲡ

# ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ** საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ევროატლანტიკურ სივრცეში ადგილის დამკვიდრების მოპოვების კვალდაკვალ ჩვენს ქვეყანაში შემოდის ცხოვრების ახალი სტანდარტები, რომლებიც ახლებურ გადიდებულ მოთხოვნებსა და პირობებს უყენებთ, როგორც ამა თუ იმ სფეროში დასაქმებულ, ისე სამუშაოს მაძიებელ ადამიანებს. ამ უკანასკნელთა რიცხვი კი ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე მცირეა. პრესით, სხვადასხვა სააგენტოების და ვებ-გვერდების მეშვეობით მათთვის სხვადასხვა ორგანიზაციადაწესებულებებში აქვეყნებენ ვერსიებს, აცხადებენ კონკურსებს ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად, მაგრამ სამუშაოს ბევრმა მაძიებელმა მ.შ. ჩვენი მუნიციპალიტეტიდანაც, როდი იცის, თუ როგორ გაიაროს ამ კონკურსთან დაკავშირებული პროცედურები. ამ ხარვეზის შესავსებად საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ამას წინათ საგარეჯოს IV საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა ჩაატარა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ საგარეჯოელი სამუშაოს მაძიებლები, მოსახლეობა, სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული ორგანიზაციის უფროსი თამარ ბერიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები – მომავლისათვის“ თავმჯდომარე მაია ბეიტრიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები.

ტრენინგზე დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ტრენერ-კონსულტანტები ვლადიმერ ღლონტი და ქეთევან ხაჩიძე დამსწრეთ ვრცლად ესაუბრნენ სამუშაოს მაძიებელთა მიერ ვაკანსიების დასაკავებლად გასავლელი კონკურსებისა და გასაუბრებაზე გასვლის პროცედურასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, რომელთა ცოდნა აუცილებელია სამუშაოთა მაძიებლისათვის, რადგან აქ დაშვებულ სულ მცირე შეცდომასაც კი ადვილად შეუძლია დააკარგვინოს სამუშაოზე აყვანის შანსი ყველაზე მომზადებულ და უნარიან ადამიანს.

როგორც ტრენინგზე დასაქმების პროგრამების ტრენერ-კონსულტანტმა ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, მსგავსი ტრენინგები ძვირადღირებული სიამოვნებაა, მაგრამ მთავრობამ ქვეყანაში დაინახა ამის საჭიროება და ეს პროექტი დააფინანსა. რაც შეეხება დასაქმების დეპარტამენტის როლს ამ პროცესში, იგი ცდილობს ითამაშოს შუამავლის როლი დამსაქმებელსა და დასასაქმებელთა შორის. დამსაქმებელი არასოდეს მოგვიკაკუნებს კარებს, მას ჩვენ უნდა მივუკაკუნოთ და დავარწმუნოთ ჩვენს ცოდნაში, უნარსა და გამოცდილებაში, რადგან თანამედროვე კონკურენტუნარიანი გარემო, არავის ანებივრებს იმის უფლებით, რომ სამუშაოზე აიყვანოს არაკვალიფიციური, დაბალი დონის თანამშრომლები, არც მოსახლეობიდან და არც ნათესავ-მეგობართა წრიდან, როგორც ეს წინა პერიოდებში ხდებოდა.

ვლადიმერ ღლონტმა ტრენინგის მონაწილეებს გააცნო ის წყაროები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ვაკანსიების გამოცხადება – ესაა სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული და ცენტრალური ოფისები, ამ სააგენტოს დასაქმების ვებ-გვერდები, მასმედია, კერძო განცხადებები. ამის შემდეგ მან თანამიმდევრობით ისაუბრა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება შეხვდეთ გასაუბრებაზე გასულ სამუშაოს მაძიებლებს; გასაუბრებაზე გასვლის ტექნიკაზე, წარდგენაზე, როგორ შეადგინონ CV ფორმატი, რა ფერის ტანსაცმელს ენიჭება უპირატესობა გასაუბრებაზე გასვლისას, სად უნდა დაჯდეს გასაუბრების დროს დასასაქმებელი და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაზე, რითაც დასასაქმებელმა, სამუშაოს მაძიებელმა დამსაქმებელი უნდა დაარწმუნოს თავის უპირატესობაში.

იგი ტრენინგის მონაწილეთ ასევე მოუყვა აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად გასაუბრების გავლი პირად გამოცდილებაზე. პასუხები გასცა დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ტრენინგის დასასრულს, მონაწილეებმა წინასწარ დარიგებული კითხვარებით შეასრულეს პრაქტიკული სამუშაო.

*Გ. ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ*

## ᲡᲐᲚᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

# ᲠᲩᲔᲕᲐ ᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲓ

**ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ** ძალაში შედის და მალე მოიმატებს ვირუსების გავრცელების საშიშროება. კარგია ვიცოდეთ ჩვენს რაციონში არსებული საკვების შესახებ, რომლებიც დაგვეხმარება გრიპის დამარცხებაში.

**ᲜᲘᲝᲠᲘ** – გრიპის საწინააღმდეგო ყველაზე ძლიერი საშუალებაა. იგი შეიცავს ისეთ მინარევებს, რომლებიც შეუცვლელია ვირუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. კარგია, თუ გრიპის საწყის ეტაპებზევე მივიღებთ, რაც საუკეთესო გზაა პრევენციისათვის. გრიპის დროს კარგია, თუ თითო კბილ ნიორს ყოველ 3-4 საათში ერთხელ დაღეჭავთ. თუ მისი სუნის გამო დაღეჭვას ერიდებით, დაჭერით პატარა ნაწილებად და გადაყლაპეთ ისევე, როგორც აბებს ვიღებთ. ასევე, კარგია, თუ დაჭყლეტილ ნიორს ერთ კოვზ თაფლს შევურევთ და ისე მივიღებთ – ასე ანტივირუსული მოქმედება უფრო ძლიერი იქნება. ნივრის ერთ-ერთი საოცარი თვისება ისიცაა, რომ არ კარგავს თავის ანტიმიკრობულ თვისებებს კერძის მომზადებისას, ამიტომ ხშირად უნდა გამოვიყენოთ ის საჭმლის ინგრედიენტად.

**ᲮᲐᲮᲕᲘ** – თავიანი ხახვის წვენი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, რომელიც გაცივებისა და ინფექციური დაავადებებისგან გვიცავს. ხახვი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს სისხლის გაწმენდას და საკვების მონელების პროცესს. ამიტომ უნდა მივიღოთ ის რამდენიმე საათში ერთხელ. ზოგიერთს უჭირს ხახვის მონელება, ამიტომ მისი რაოდენობის გაზრდა შეგვიძლია კერძებში.

**ᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ – ᲛᲘᲮᲐᲙᲘ** და **ᲓᲐᲠᲘᲩᲘᲜᲘ** მდიდარია ძლიერი ანტიოქსიდანტებით, რომლებიც აძლიერებს ადამიანის იმუნურ სისტემას, სპეციალისტები გვირჩევენ, გრიპთან საბრძოლველად მივიღოთ თითო ჩაის კოვზი დარიჩინი ან მიხაკი: მოაყარეთ ცოტა დარიჩინი შვრიის ფაფას. თუ უკვე გაციებული ხართ, გამოიყენეთ სანელებლები ოფლის მოსადენად: შეურიეთ ერთმანეთს 1/2 ჩაის კოვზი დარიჩინი და ქინძი, 1/4 ჩაის კოვზი ჯანჯაფლი, დააყენეთ ჩაის სახით და დალიეთ ცხელი.

„ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲨᲞᲡ „ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔ“

რედაქტორი:
ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲘᲚᲐᲣᲠᲘ

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: gareji2011@mail.ru

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარ სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლია კოხტაშვილს ბებიის

**ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲦᲐᲦᲐᲜᲘᲫᲔ-ᲑᲐᲚᲐᲒᲕᲐᲫᲘᲡ**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მთავარ სპეციალისტს განათლების საკითხებში არჩილ ჯაბადარსა და აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ დირექტორს თამარ ჯაბადარს დედის

**ᲚᲔᲜᲐ ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘᲡ**

გარდაცვალების გამო